ხელშეკრულება № ეიმ/10/01/13

თბილისი 14 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ **შპს „საქაერონავიგაცია“** წარმოდგენელი მისი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით, შემდგომში წოდებული “შემსყიდველად“, და მეორეს მხრივ, **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო,** შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად“ მისი უფროსის **შალვა ჯავახაძის** სახით, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულება იდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის №112 დადგენილების - “საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” შესაბამისად.

1.2.ხელშეკრულების საგანია შპს „საქაერონავიგაციის“ სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.3.შესყიდვის ობიექტია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, (შემდგომში მომსახურება) შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია: CPV - 71351610

2.მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. მიაწდოს “შემსყიდველს“ მესტიის სადგურიდან მეტეოროლოგიური ინფორმაცია: ქარი – მიმართულება და სიჩქარე; ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექი, წნევა (synop, ყოველდღიურად 10 მონაცემი თითოეულ ელემენტზე).

2.1.2. მიაწდოს “შემსყიდველს“ ზუგდიდის, ამბროლაურის, მთა საბუეთის სადგურებიდან მეტეოროლოგიური ინფორმაცია: ქარი – მიმართულება და სიჩარე; ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექი, წნევა (SYNOP, ყოველდღიურად 3 მონაცემი თითოეულ ელემენტზე).

2.1.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ზუსტი, სრულყოფილი და ხარისხიანი მეტეოროლოგიური ინფორმაცია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, მის ხელთ არსებული ყველაზე ოპტიმალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
2.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა დაიწყოს 2013 წლის 14 იანვრიდან და მომსახურება გასწიოს 2014 წლის 13 იანვრის ჩათვლით.

2.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

2.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით დანიშნონ კოორდინატორები და წერილობით აცნობონ ერთმანეთს მათი ვინაობის შესახებ. კოორდინატორები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შესრულებული მომსახურება.

2.3.1.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას კონტროლს გაუწევს შემსყიდველის დანიშნული კოორდინატორი, შ.პ.ს "საქაერონავიგაციის" მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი, ბადრი ჯიჯელავა, რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტზე.

2.3.2.მიმწოდებელი კოორდინატორად ნიშნავს სააგენტოს ტელეკომუნიკაციის სამსახურის უფროსს თ. გობეჯიშვილს.

3. მომსახურების ღირებულება და მიღების წესი

3.1. გაწეული მომსახურებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს ყოველთვიურად უხდის 2040.80 (ორიათასორმოცი და ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მომსახურების საერთო ღირებულებაა 24489.60 (ოცდაოთხიათას ოთხას ოთხმოცდაცხრა და სამოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის №112 დადგენილების - "საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ანგარიშფაქტურის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4. მომსახურების მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეების მიერ უნდა იქნეს გაფორმებული არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

4.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

4.1.ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 14 იანვრიდან და ძალაშია 2014 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.

5.ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის და მოშლის პირობები

5.1. მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ რეორგანიზაციის ან შიდა ორგანიზაციული ცვლილებების შესაბამისად, მათი უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრე პირები ვალდებულნი არიან დაასრულონ და სრულყოფილად შეასრულონ მხარების მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება.
5.2.მხარეებს შეუძლიათ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ერთმანეთისათვის 7 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მეშვეობით თუ ერთ-ერთი მხარე არაჯეროვნად ასრულებს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, . ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების მომშლელი მხარე უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით. 7 დღიანი ვადა აითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

წერილობითი შეტყობინების ჩაბარების დღიდან. შეტყობინების ჩაბარება-მიღება უნდა იქნეს დოკუმენტურად დადასტურებული.
5.3.ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) მხარეების კეთილი ნების საფუძველზე. ასეთი შეთანხმება უნდა იქნეს შედგენილი წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი მხარეების მიერ.
ბ) ცალმხრივად, თუ მხარეს გააჩნია ხელშეკრულების შეწყვეტისათვის სათანადო მიზეზი, ამის თაობაზე მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინებიდან 7 კალენდარული დღის შემდეგ.
გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1.მხარეები სრულად აგებენ პასუხს ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანისათვის.
6.2.თუ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ არ შეასრულა და/ან არაჯეროვნად შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები, მეორე მხარე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული მხარე უფლებამოსილია არ შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მან იკისრა ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ.
6.3.ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7. დავების მოგვარება

7.1.ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა მოლაპარაკებით, ხოლო ასეთი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლო.

8. დაუძლეველი ძალა (ფორს მაჟორი)

8.1.მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაუძლეველი ძალის (ფორს მაჟორი) გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები, ომი, საგანგებო მდგომარეობა და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები მოქმედებს 7 კალენდარულ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობების ცალმხრივად შეწყვეტა და ამის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი ვადების დაცვით. ის მხარე, რომელსაც დაუძლეველი ძალის გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელ'შეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და/ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.3.შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე.

9. დასკვნითი დებულებები

9.1.ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ამ ხელშეკრულებასთან ერთად.

9.2.ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით.

9.3.ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეებს ეგზავნებათ ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მათ იურიდიულ მისამართებზე. იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან ზეპირად და წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ ერთმანეთს ასეთი ცვლილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მართლზომიერად გაგზავნილად.

9.4.წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „საქაერონავიგაცია“	***სსიპ. “გარემოს ეროვნული სააგენტო“***
საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051	*საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691*
მისამართი: ქ. თბილისი	*მისამართი: ქ.თბილისი 0112,*
აეროპორტი,0198	*დავით აღმაშენებელის გამზ. №150*
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს „პროკრედიტ ბანკის”
ტელ: 274 42 27; 274 43 27	*ცენტრალური ფილიალი*
	ბანკის კოდი MIBGGE22
	ანგარიშის ნომერი: GE11PC0133600100049792
	ტელ: 243 95 25; ფაქსი: 243 95 02
გოჩა მეზვრიშვილი	***შალვა ჯავახაძე***
გენერალური დირექტორი	*სააგენტოს უფროსი*